

პროფესიული უნარების ტესტი

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღიადაბოლოებიანი დავალებები (სულ 44 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დანერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ ან/და გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 1

თვითშეფასება „მე-კონცეფციის“ ერთ-ერთ ძირითად ასპექტს წარმოადგენს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, დამოკიდებულებებს საკუთარი წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიმართ. საკუთარი თავისადმი პოზიტიური მოლოდინი მნიშვნელოვანად ეხმარება მოსწავლეს წარმატებაზე ორიენტირებული მიზნებისა და მისი მიღწევის გზების დასახვაში.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი სტრატეგია დაეხმარება მოსწავლეს თვითშეფასების ამაღლებაში?

- ა) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს თანაბრად რთულ დავალებებს, რათა ყველამ თანასწორად იგრძნოს თავი.
- ბ) მასწავლებელი მოსწავლის შეცდომაზე აკეთებს აქცენტს, ცდილობს, გამოასწორებინოს და ამით თავდაჯერებულობა შეჰმატოს მას.
- გ) მასწავლებელი მოსწავლეებს მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, ამით ცდილობს მათ გააქტიურებას და, შესაბამისად, მათი შინაგანი ძალების მობილიზებას.
- დ) მასწავლებელი ცდილობს, გამოავლინოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, დაანახვოს ისინი თავად მოსწავლეს და სხვებს, რათა იგი უფრო თავდაჯერებული გახდეს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 2

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დიუის მეთოდის „სწავლა კეთებით“ გამოყენების დროს?

- I. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია თავისი მოსწავლეების ადრინდელი გამოცდილების შესახებ, რადგან ახალი გამოცდილება უნდა დაშენდეს ძველზე.
- II. მასწავლებელი სწავლების პროცესში უნდა იყენებდეს მხოლოდ უახლეს ტექნოლოგიებს და არა - წარსულში დაგროვილ ცოდნას.
- III. მასწავლებელმა უნდა გაარკვიოს, რისი სწავლა სურთ მოსწავლეებს და მიაწოდოს შესაბამისი მასალა, რომელსაც ისინი დამოუკიდებლად გამოიყენებენ.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 3

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მასწავლებელსა და მშობელს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის ნიმუში?

- ა) მასწავლებელი საუბრისათვის იყენებს ცალკე ოთახს, რათა მშობელი დარწმუნდეს, რომ მათი საუბარი კონფიდენციალურია.
- ბ) მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მოსწავლის ნაშრომებს, განსახილველი საკითხების ჩამონათვალს, რომ დაანახვოს მშობელს თავისი შვილის პრობლემა თუ მიღწევები.
- გ) მასწავლებელი უხსნის მშობელს, რომ ცდილობს პრობლემის გადაჭრას და არწმუნებს, მოცემულ შემთხვევაში მშობლის დახმარების გარეშე უკეთ იპოვის გამოსავალს.
- დ) მასწავლებელს მშობელთან საუბრის დროს მოსწავლის მიღწევების ან ქცევის დასახასიათებლად მოჰყავს კონკრეტული მაგალითები, ის თავს არიდებს ქცევის შეფასებას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 4

ვიგოტსკის თეორიის თანახმად, მასწავლებლისთვის მიცემული რომელი რეკომენდაცია არის მართებული?

- ა) მოსწავლეს მიეცით მისი კოგნიტური განვითარების შესაბამისი დავალებები, რომ არ დაკარგოს სწავლის მოტივაცია.
- ბ) მოსწავლეს, უმეტეს შემთხვევაში, მიეცით ისეთი დავალებები, რომელთა შესრულებასაც ის უფროსების ან თანატოლების დახმარებით შეძლებს.
- გ) მოსწავლეს ხშირად მიეცით ერთი ტიპის დავალებები, რომ საკითხი კარგად აითვისოს და შეისწავლოს.
- დ) მოსწავლეს მიეცით მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ისეთი დავალებები, რომლის შესრულებასაც დამოუკიდებლად შეძლებს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)


დავალება 5

გაკვეთილის დაგეგმვისას ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ა) მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რა ინფორმაციას ფლობენ მოსწავლეები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით და რა უნარებია საჭირო ახალი ინფორმაციის ასათვისებლად.
- ბ) მასწავლებელმა საკლასო აქტივობებისთვის დააწესოს დროის ლიმიტი და არ გადაუხვიოს მას.
- გ) მოსწავლეთა აქტივობები ისე იყოს შერჩეული, რომ გაკვეთილზე ყველა წყნარად იჯდეს და საკლასო ოთახიდან ხმაური არ გადიოდეს.
- დ) გაკვეთილის მიზნები ემსახურებოდეს მოსწავლეებში არა ქვედა, არამედ მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 6



„მე სხვანაირი ვარ... მეხუთეკლასელი ვარ. აქამდე ნამდვილ სკოლაში არ მივლია და ახლა შიშით სული კოჭებში მეპარება, ბევრს ჰგონია, სკოლაში ამ ჩემი სახის გამო არ დავდიოდი, მაგრამ არა. იმიტომ არ დავდიოდი, რომ ოპერაციებს მიკეთებდნენ. თანაც რაკი ჩემს ტოლებზე ნელა ვიზრდები და სხვა სამედიცინო საიდუმლოებებიც მჭირს, ამიტომ ბევრს ვავადმყოფობდი.

რომ ვითხრათ, სკოლაში სიარული მუდამ მინდოდა მეთქი, მართალი არ ვიქნები. არა, ნდომით როგორ არ მინდოდა, ოღონდ იმ პირობით, თუ სხვა ბავშვებისნაირი ვიქნებოდი.“

ჯ. პალაციო, „საოცრება“.

ციტატაში წარმოდგენილი პრობლემის მსგავსი გვხვდება არაერთ სკოლაში, რაიმე ნიშნით განსხვავებულ მოსწავლეებს უჭირთ ხოლმე კლასთან ინტეგრირება.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

რომელი სტრატეგიის/სტრატეგიების გამოყენებით დაეხმარება მასწავლებელი ასეთ მოსწავლეს კლასთან ინტეგრირებაში?

- I. მოსწავლეს შეურჩიოს პარტნიორი, დასვას მეგობრული და კონტაქტური ბავშვის გვერდით.
- II. არ გაამახვილოს ყურადღება იმ პრობლემებზე, რომლებიც კლასში მოსწავლის განსხვავებულობის გამო იქმნება, აქცენტი გადაიტანოს სასწავლო პროცესზე.
- III. მოსწავლეს ისეთი დავალებები მისცეს, რომლებიც სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს - მაგ. ინფორმაციის გადაცემას ვინმესთვის ან პირიქით - მის მოპოვებას.

ა) მხოლოდ I და II

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 7

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა არის გაკვეთილის ძიების ფაზის შესაბამისი?

- ა) მასწავლებელი წამოჭრის პრობლემას და მოსწავლეებს აძლევს მინიშნებას, რომ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას თუ გაიხსენებენ, პრობლემის გადაჭრის გზას ადვილად მიაგნებენ. ჯგუფი იწყებს მუშაობას. მოსწავლეები ერთმანეთს სთავაზობენ და განიხილავენ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზას.
- ბ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განიხილონ დასრულებული აქტივობა. გამოხატონ საკუთარი მოსაზრება, ჯგუფთან ერთად ან დამოუკიდებლად შეაფასონ, რა იყო რთული, რა – მარტივი. თავადაც ეხმარება, უსვამს კითხვებს და პროცესს ისე წარმართავს, რომ მათ გაუადვილოს ძირითადი ცნებების, კონცეფციების გაგება.
- გ) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს უცნობი სიტყვების ჩამონათვალს ტექსტიდან და სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს. ავალებს მათ ამ უცხო სიტყვების პოვნას შესაბამის ლექსიკონში და განმარტებების ამოწერას.
- დ) კონკრეტული აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, განიხილონ საკუთარი მიგნებები და ერთმანეთს შესთავაზონ მოსაზრებები, რომლებიც საკითხთან მიმართებით ჩამოუყალიბდათ.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 8

უზნაძის მიხედვით: „ახსნა უცნობის ნაცნობზე, ახლის ძველზე დაყვანასა და სწორედ ამით ნაცნობისა და ძველის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას ნიშნავს“.

სწავლების ამგვარი მიდგომა განათლების თანამედროვე სისტემაში ცნობილია, როგორც:

- ა) სკაფოლდინგი
- ბ) სოკრატული სწავლება
- გ) პანდორას კითხვები
- დ) ევრისტოიკა

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 9

პოზიტიური სასწავლო გარემო ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. კლასში ჯანსაღი და მამოტივირებელი ატმოსფეროს შექმნას მასწავლებელი ხელს უწყობს თავისი ღირებულებებითა და დამოკიდებულებებით.

პოზიტიური არ არის სასწავლო გარემო, თუ მასწავლებელს მიაჩნია, რომ:

- ა) ნებისმიერ მოსწავლეს აქვს შეცდომების დაშვების უფლება, შეცდომა ეხმარება მას სწავლასა და წინსვლაში.
- ბ) სამუშაოს სწრაფად ართმევს თავს და წარმატებასაც იოლად ის მოსწავლე აღწევს, რომელსაც სხარტი გონება აქვს.
- გ) მოსწავლე, რომელიც სამუშაოს ეფექტიანად გეგმავს და სისტემატურად ცდილობს მის შესრულებას, წარმატებასაც აღწევს.
- დ) წარმატებული მოსწავლეს მიმართავს მასწავლებელს დახმარებისათვის ან სთხოვს მას შესრულებული სამუშაოს კომენტირებას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 10

მორალური განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგიაა ინდუქცია - ყურადღების მიმართვა იმ ზიანზე, რასაც იწვევს ადამიანის არაეთიკური საქციელი.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე უკეთესად რომელ დებულებაშია ახსნილი, თუ რატომ არის ეფექტიანი ინდუქციის სტრატეგია მოსწავლეთა მორალური განვითარებისათვის?

- ა) მოსწავლე არაზნეობრივი საქციელის გამო თავს დამნაშავედ გრძნობს და ცდილობს, უკეთესი ადამიანი გახდეს, რომ თავი აარიდოს ამ უსიამოვნო განცდას.
- ბ) მოსწავლე შეეცდება, მომავალში უფრო პოზიტიური შთაბეჭდილება მოახდინოს სხვა ადამიანებზე, რაც გაზრდის მისი მორალური ქცევის ალბათობას.
- გ) მოსწავლე სწავლობს საზოგადოებრივ აკრძალვებს, რაც ამცირებს მომავალში მისი არაეთიკური ქცევის ალბათობას.
- დ) მოსწავლე ხდება უფრო მეტად ემპათიური სხვისი განცდების მიმართ, რაც განაპირობებს მის მორალურ განვითარებას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 11

ქვემოთ წარმოდგენილია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრა ბულინგის პრობლემაზე სკოლებში, შემდეგ დაუსვა შეკითხვა: „რა საფრთხეს შეიცავს ბულინგი?“. ერთი მოსწავლის პასუხი მასწავლებლისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და იმავე შეკითხვით სხვა ბავშვებს მიმართა. მას სურდა, რომ მოსწავლეს მოესმინა თანაკლასელების პასუხები და თანდათან მისულიყო მასწავლებლისთვის მისაღებ სწორ პასუხამდე.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

აღნიშნული აქტივობა დასახული მიზნის:

- ა) ადეკვატურია, რადგან თანაკლასელების ჩართვით და სხვა პასუხების მოსმენით მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეს, თანდათან მივიდეს მასწავლებლისთვის მისაღებ პასუხამდე.
- ბ) ადეკვატური არ არის, რადგან მოსწავლეების აზროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ისმენდეს მათგან თუნდაც მისთვის მიუღებელ პასუხებს და სთხოვდეს მათ დასაბუთებას.
- გ) ადეკვატურია, რადგან იმისათვის, რომ მოსწავლე მიხვდეს, როგორ პასუხს ელიან მისგან, მან უნდა დაინახოს მასწავლებლის რეაქცია იმ სწორ პასუხებზე, რომლებიც თანაკლასელებმა გასცეს.
- დ) ადეკვატური არ არის, რადგან მოსწავლემ საკითხი კარგად რომ გაიგოს, მასწავლებელი ვალდებულია, თვითონ აუხსნას პრობლემის არსი და შემდეგ დაიხმაროს მისი თანაკლასელები.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 12

პედაგოგი დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს ვერბალური კომუნიკაციის კომპონენტებს: ხმის მახასიათებლებს, მეტავერბალურ ნაწილსა და ინფორმაციის შინაარსს, ვინაიდან ეფექტიანი კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება.

ეფექტიანი ვერბალური კომუნიკაციის შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრება/მოსაზრებებია მართებული?

- I. რამდენად კარგად გაიგებენ მოსწავლეები მასწავლებლის ნათქვამს, დამოკიდებულია მხოლოდ მასწავლებლის კომუნიკაციურ უნარზე — შეუძლია თუ არა მას კარგად ინფორმაციის გადაცემა.
- II. არაორგანიზებული და შეუკავშირებელი ფორმით მიწოდებული ინფორმაციის გაგება საკმაოდ რთულია მაშინაც კი, თუკი გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა მოსწავლეებისთვის ნათელია.
- III. მასწავლებელი ისე უნდა წარმართავდეს კომუნიკაციას, რომ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, მისი ფორმა და ნაგულისხმევი ვარაუდები მეტ-ნაკლებად ერთნაირად გაიგოს თითოეულმა მოსწავლემ.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 13

გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი მოსაზრება/მოსაზრებები:

- I. ნებისმიერი საგნის ეფექტიანი სწავლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს თანაბრად ჰქონდეს განვითარებული ყველა სახის ინტელექტი.
- II. მოსწავლეს აქვს ყველა ტიპის ინტელექტი, თუმცა სწავლება მორგებული უნდა იყოს მათგან ყველაზე უფრო განვითარებულზე.
- III. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად მასწავლებელმა საკლასო აქტივობებით ინტელექტის რაც შეიძლება მეტი ტიპი უნდა გაააქტიუროს.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და II
 - გ) მხოლოდ II და III
 - დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 14

ჩამოთვლილთაგან რომელია განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლის მიმართ ტოლერანტული მიდგომის მაგალითი?

- ა) მასწავლებელმა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეს დაავალა კლასთან ერთად უმრავლესობის რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნისათვის მზადება.
- ბ) მასწავლებელმა უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეს დაავალა კლასის უმრავლესობის კულტურის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე მოემზადებინა პრეზენტაცია.
- გ) მასწავლებელმა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლე გაათავისუფლა გაკვეთილიდან, რომლის თემაც მის რწმენასთან შეუთავსებელი იყო.
- დ) მასწავლებელმა სხვადასხვა რელიგიურ-ეთნიკური კუთვნილების მოსწავლეებს დაავალა, მოემზებნათ მსგავსება-განსხვავება სხვადასხვა კულტურების ტრადიციებს შორის.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 15

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი აქტივობით/აქტივობებით აუმაღლებს მასწავლებელი მოსწავლეს შინაგან მოტივაციას?

- I. მასწავლებელი სასწავლო აქტივობაში იყენებს რეალურ პრობლემურ სიტუაციას.
- II. მასწავლებელი უკავშირებს სასწავლო აქტივობას მოსწავლის ინტერესების სფეროს.
- III. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ამ საკითხების ცოდნა მნიშვნელოვანია კარიერული წინსვლისთვის.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და II
 - გ) მხოლოდ II და III
 - დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 16

გაკვეთილზე აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის პროცესი შეუფერხებლად უნდა მიმდინარეობდეს. ხშირია შემთხვევა, როდესაც გაკვეთილის გეგმის თანახმად მასწავლებელი ინდივიდუალური სამუშაოს შემდეგ მოსწავლეებს ჯგუფურ მუშაობას სთავაზობს.

აქტივობების მონაცვლეობის დროს პრობლემების თავიდან აცილებაში მასწავლებელს შემდეგი ქმედება/ქმედებები დაეხმარება:

- I. გადაადგილებების გამო შექმნილი არეულობისა და დამაბულობის მიუხედავად, მასწავლებელმა არ უნდა დატოვოს უპასუხოდ მოსწავლეების მიერ შესრულებულ თუ შესასრულებელ დავალებებთან დაკავშირებული შეკითხვები.
- II. მასწავლებელი უნდა იდგეს და აკონტროლებდეს, რას აკეთებენ მოსწავლეები, იძლეოდეს მითითებებს, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები დროს უსარგებლოდ ხარჯავენ.
- III. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს მკაფიო ინსტრუქციები და განუსაზღვროს დრო, რომელსაც აძლევს მათ საჭირო პროცედურების შესასრულებლად.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 17

მასწავლებელმა მიზნად დაისახა მასალის ახსნის წინ მოსწავლეთა მაქსიმალური მობილიზება და გაკვეთილი ასეთი შესავლით დაიწყო:

„დღევანდელი თემა შეიძლება მოსაწყენი მოგეჩვენოთ, რადგან მის გაგებას ხანგრძლივი ახსნა და ბევრი ვარჯიში სჭირდება; ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით იყოთ, თორემ მომდევნო მასალას ველარ გაიგებთ.“

მასწავლებლის აქტივობა მიზნის:

- ა) **ადეკვატურია.** ახალი მასალის მიმართ ადეკვატური მოლოდინის ჩამოსაყალიბებლად მასწავლებელს მოსწავლეებისთვის წინასწარ უნდა ეცნობებინა თემის სირთულის შესახებ.
- ბ) **ადეკვატური არ არის.** საგაკვეთილო თემა და მიზანი თავად მოსწავლეებს უნდა ჩამოეყალიბებინათ, ასე მათ უფრო გაუადვილდებოდათ საკითხის ათვისება.
- გ) **ადეკვატურია.** სირთულეებზე საგანგებო ყურადღების გამახვილება იწვევს მოსწავლის კოგნიტური უნარების მობილიზებას, ეს ერთგვარი გამოწვევაა გაკვეთილის საწყის ეტაპზე.
- დ) **ადეკვატური არ არის.** მასწავლებლის წინასწარი განწყობა, რომ საკითხი რთული და მოსაწყენია, დაუკარგავს მოსწავლეებს ენთუზიაზმს და გამოიწვევს მათ დემოტივირებას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

შესაბამისობის დავალებები ერთჯულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 18

ცხრილის A სვეტში მოცემულია მოსწავლის ქცევა, ხოლო B სვეტში ამ ქცევის კორექციის მექანიზმი, რომელიც მასწავლებელმა გამოიყენა სკინერის ოპერანტული განპირობებულობის თეორიის მიხედვით. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

ქცევა (A)	მექანიზმი (B)
I. მოსწავლე გაკვეთილებზე ცუდად იქცევა, ხშირად სკოლასაც უმიზეზოდ აცდენს. ამის გამო მას მასწავლებელი შემაჯამებელი შეფასების დროს ბონუს ქულას აღარ უწერს.	ა) პოზიტიური დასჯა
II. მოსწავლე ქიმიის გაკვეთილზე ცუდად იქცევა. მასწავლებელი მას გაკვეთილების შემდეგ კლასში ტოვებს და კოლბების, სინჯარების გარეცხვას ავალეხს.	ბ) პოზიტიური განმტკიცება გ) ნეგატიური დასჯა
III. მას შემდეგ, რაც მოსწავლემ დავალება კარგად შეასრულა, მასწავლებელი მას აღარ აკრიტიკებს და შენიშვნასაც აღარ აძლევს.	დ) ნეგატიური განმტკიცება

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 19

ცხრილის A სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობა, ხოლო B სვეტში უნარი, რომლის განვითარებასაც შეუწყობს ხელს ეს აქტივობა. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აქტივობა (A)	უნარი (B)
I. მასწავლებელმა მოსწავლეებს პოლიეთილენის ნივთების გამოყენების სხვადასხვა ხერხის მოფიქრება დაავალა.	ა) ტრანსფერის
II. მასწავლებელი მოსწავლეებს კონფლიქტის მოგვარების ხერხებზე ესაუბრა. შემდეგ დაავალა ემსჯელათ, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა თითოეული მათგანის გამოყენებას.	ბ) მეტაკოგნიტური გ) ანალიტიკური აზროვნების
III. ფიზიკის მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნა სინათლის გარდატეხის კანონი და ლაშქრობაზე ლინზის ერთ-ერთი თვისების გამოყენებით ცეცხლის დანთება დაავალა.	დ) შემოქმედებითი აზროვნების

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 20

თვითრეგულირებადი სწავლისთვის მნიშვნელოვანია კოგნიტური სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე ცოდნას მოიპოვებს, გადაამუშავებს, გააანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, დაიხსომებს და სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენებს.

ცხრილის A სვეტში მოცემულია მოსწავლის მიერ გამოყენებული სასწავლო აქტივობები, ხოლო B სვეტში სწავლის კოგნიტური სტრატეგიები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

სასწავლო აქტივობა (A)	კოგნიტური სტრატეგია (B)
I. მოსწავლე დასასწავლ მასალას პატარა ნაწილებად ყოფს და მცირე შესვენებებით დროის გარკვეულ მონაკვეთში სწავლობს.	ა) დამუშავება
II. მოსწავლე საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ინფორმაციას, აქცენტს აკეთებს ძირითადზე, მოჰყავს მაგალითები, უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას.	ბ) შენარჩუნება
III. მოსწავლე ახლად ნასწავლი მასალის უკეთ გასაგებად, გასააზრებლად რთულ, კომპლექსურ ინფორმაციას ანაწევრებს.	გ) ორგანიზება
IV. მოსწავლე ახალ სიტყვებსა და ცნებებს მსგავსი ჟღერადობის სიტყვებთან ასოციაციურად აკავშირებს.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

ღიადაბოლოებიანი დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 21

მაქსიმალური ქულა - 4

პედაგოგისა და, ზოგადად, სასკოლო განათლების სისტემის მიზანია, მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ზნეობრივი ღირებულებები, აუმაღლოს მათ მოქალაქეობრივი თვითშეგნება და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ ამ პროცესში ძირითად დაბრკოლებას საზოგადოებრივი გულგრილობა წარმოადგენს და სწორედ ამის გამო ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში შემფოთებას გამოხატავდა:

„უდარდელად, უზრუნველად ვუცქერთ ჩვენს ყოველგვარ უხეირობას, სიცუდეს და ავკაცობას, თითქოს ეს საქმე ჩვენ არ შეგვეხებოდეს, თითქო ჩვენი სისხლი არ იყოს და მის ბედსა და უბედურებას ჩვენზე არავითარი გავლენა არ ჰქონდეს... ჩვენ შეურყევლად ვსტკბებით ჩვენს საკუთარ კერძო ცხოვრებაში, სანამ ჩვენს საკუთარ ტყავს არ შეეხება ის სენი და ის ვნება, რომელიც წინათ ჩვენს მახლობელს მიადგა. მაშინ კი ჩვენ ხმამაღლა ღრიალს და გოდებას ვიწყებთ. მაგრამ ჩვენს უბედურებას ჩვენი მახლობელი იმნაირადვე გულხელდაკრეფილი დასცქერის, როგორც ჩვენ მის უბედურებას დავყურებდით. თითო-თითო, ცალ-ცალკე, ნელ-ნელა, შეუნიშნავად გვჭამს ჩვენი ზნეობრივი სენი“.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

- აღწერეთ ორი აქტივობა, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ საზოგადოებრივი გულგრილობის საკითხის სიმწვავე და აუმაღლებს მათ მოქალაქეობრივ თვითშეგნებას. *დაასაბუთეთ თითოეული აქტივობის მართებულობა.*

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 11a 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23 24 25 26 27
28 29 30 31 32 33 33a 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

დავალება 22

მაქსიმალური ქულა - 3

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად უყურებს ვიდეოს მარჯუნის პოლიპების შესახებ, უხსნის, რომ ეს ცოცხალი ორგანიზმებია და ეკითხება, მათი აზრით, ცხოველია თუ მცენარე. მოსწავლეები უპასუხებენ: „ალბათ მცენარეა, ცხოველი რომ იყოს, ხომ უნდა მოძრაობდეს?!“



ახსენით, პიაჟეს თეორიის მიხედვით, რამ განაპირობა მოსწავლის ამგვარი პასუხი. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ ბავშვის კოგნიტური განვითარების ის თავისებურებები, რომლებიც განაპირობებს ამგვარ შეცდომებს.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალებები 23-27 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

ინტერნეტსივრცეში პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად შექმნეს ღია ჯგუფი. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც – გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, დასვას კითხვები.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ თითოეულ წერილში აღწერილი პრობლემის არსი.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს დავალებაში წარმოდგენილ პრობლემის არსს.


თითოეული დავალება (23-27) შეასრულეთ იმ კითხვის/მითითების მიხედვით, რომელიც დავალებას თან ახლავს და პასუხი დაასაბუთეთ.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

მობინგი - კოლექტივის ან კლასის მტრული დამოკიდებულება ერთი ადამიანის მიმართ.

ირინა თელია



ჩემი შვილი ახალ სკოლაში გადავიყვანე. მასწავლებლები ძალიან აქებენ, მეუბნებიან, რომ მონდომებითა და სიბეჯითით ყველასგან გამორჩეულია. კლასმა კი სწორედ ამის გამო აითვალწუნა და არ მიიღო. თანაკლასელები არსად ეპატიჟებიან, აქტიურობის გამო დასცინიან, დავალების რვეულებს ართმევენ და უფუჭებენ. მასწავლებელი ურჩევს, მოერიდოს თანაკლასელებთან კონტაქტს, მისი აზრით, დრო გავა, ისინი შეეგუებიან და თვითონ დაუახლოვდებიან. მეეჭვება, რომ ეს პრობლემა თავისთავად მოგვარდეს. მართო ერთი მოსწავლე რომ ექცეოდეს ასე, უფრო ადვილი იქნებოდა მისი მოგვარება, მაგრამ, როდესაც მთელი კლასი ერთ მოსწავლეს უპირისპირდება, ვხვდები, რომ სხვა სახის პრობლემაა და მისი მოგვარების გზაც განსხვავებული უნდა იყოს.

კარგი იქნება, რამე კონკრეტული რჩევა მისცეთ მასწავლებელს, როგორ მოაგვაროს კლასში მობინგის პრობლემა.

 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 17:59-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 11a 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23 24 25 26 27
28 29 30 31 32 33 33a 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

შებრუნებული გაკვეთილი

ნატა მალრაძე



მასწავლებელი ახალ საკითხს დავალებად ხშირად აუხსნელად გვაძლევს. ზოგჯერ ასეთი დავალების შესრულება მიჭირს, რადგან ყველაფერს კარგად ვერ ვიგებ. ვიცი, რომ მასწავლებელი მეორე დღეს ყველაფერს ამიხსნის, მაგრამ ჩემი მშობლები ამის გამო ძალიან ბრაზობენ და აპირებენ, რომ მასწავლებელს უსაყვედურონ.

იქნებ აუხსნათ ჩემს მშობლებს, რატომ არის ჩვენთვის კარგი მასწავლებელი დავალებას აუხსნელად რომ გვაძლევს?

👍 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • გუშინ, 15:35-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
- [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ანალიტიკური აზროვნების განვითარება



ციური ჯაყელი

ბოლო დროს ძალიან ხშირად მესმის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მოსწავლეებისთვის ანალიტიკური აზროვნების განვითარებაა. სამწუხაროდ, ვერ მოვიძიე ისეთი მასალა, სადაც კონკრეტულად იქნება აღწერილი სტრატეგიები, რომლებიც სწორედ ამ მიზნის მიღწევაში დამეხმარება.

მირჩიეთ ერთი სტრატეგია, რომელსაც გამოვიყენებ იმისათვის, რომ ჩემს მოსწავლეებს განუვითარდეთ ანალიტიკური აზროვნება.

👍 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 12:28-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ფიზიკური გარემოს მოწყობა საკლასო აქტივობის შესაბამისად



ნიკუ გოგბაიძე

მასწავლებელი გაკვეთილებზე ზოგჯერ მერხების განლაგებას გვაცვლევინებს. ხან საკლასო ოთახის ირგვლივ გაგვამწყვრივებინებს, ხანაც შეგვაერთებინებს და ირგვლივ შემოვუსხდებით ხოლმე. ჩვენ კი გვებნლისება, მაგრამ ვერ ვიგებ, თუ განლაგებას ცვლის, მაშინ რატომღა აბრუნებს მერხებს თავის ადგილზე.

საინტერესოა, დისკუსიის ან ჯგუფური მუშაობის დროს როგორ უნდა იდგეს მერხები და რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი?

 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 19:32-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
- [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა



ზაზა კიკნაძე

ჩემმა კოლეგამ „კრიტიკულ მეგობრად“ ამირჩია და მთხოვა, დავსწრებოდი მის გაკვეთილებს. მინდა მაქსიმალურად სასარგებლო იყოს ჩვენი თანამშრომლობა.

მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, რა უნდა გავაკეთო გაკვეთილზე დასწრებამდე და როგორ მივაწოდო კოლეგას უკუკავშირი მისი დასრულების შემდეგ?



მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 12:09-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 11a 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23 24 25 26 27
28 29 30 31 32 33 33a 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ღიადაბოლოებიანი დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით, ადამიანები სხვა ადამიანებზე დაკვირვებით და მათი ქცევის მოდელირებით სწავლობენ. მოსწავლეები ცდილობენ, მიზამონ მხოლოდ გარკვეული თვისებების მქონე ადამიანებს.

ბანდურას თეორიის მიხედვით, დაკვირვებით დასწავლა რომ ეფექტიანი იყოს, მოდელს უნდა ახასიათებდეს:

- + **სქესისთვის შესაფერისი საქციელი** - მოსწავლეები ისეთ მოქმედებებს უფრო სწავლობენ და ითვისებენ, რომლებიც, მათი აზრით, მათი სქესისთვის არის შესაფერისი და დამახასიათებელი. გოგონამ უფრო ხშირად შეიძლება მოდელი ქალის ქცევა მიიჩნიოს მისი სქესისთვის შესაფერისად და გაიმეოროს, ვაჟმა კი - მოდელი კაცის.
- + **სიტუაციისთვის რელევანტური ქცევა** - მოსწავლეები იმ ქცევებს უფრო სწავლობენ და ითვისებენ, რომლებიც, მათი აზრით, გარკვეულ ვითარებაში მათთვის უფრო სასარგებლო იქნება. მაგალითად, უფრო მოსალოდნელია, რომ მოსწავლე მიზამავს თანაკლასელის მეტყველების მანერას, თუ ფიქრობს, რომ ამგვარი ქცევის გამო ის მოწონებით სარგებლობს.

დაასახელეთ, მოდელის კიდევ ერთი მახასიათებელი, რომელზეც აქცენტი უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ მოსწავლემ მოდელზე დაკვირვებით ქცევა დაისწავლოს:

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ ან/და გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 29

ყველა სკოლას შეიძლება არ ჰქონდეს მდიდარი სასწავლო რესურსი, თუმცა მასწავლებელს შეუძლია მის ხელთ არსებული მასალა ისე გამოიყენოს, რომ ის მოსწავლეებისთვის საინტერესოც გახდეს და მრავალფეროვანიც.

ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე ნაკლებად ეფექტიანი ხერხი იმისათვის, რომ მასწავლებელმა სასწავლო ტექსტი, როგორც რესურსი, მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს?

- ა) მასწავლებელი აწყობს კლასში დისკუსიას, რომელიც მიმართულია მოცემული ტექსტის საკვანძო საკითხებზე.
- ბ) მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, მოცემული ტექსტი კლასში როლური თამაშის გამოყენებით წარმოადგინონ.
- გ) მასწავლებელს ტექსტის მონაკვეთები გადააქვს ბარათებზე და მოსწავლეებს სხვადასხვა კუთხით მათ განხილვას ავალებს.
- დ) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს აბზაცებად დაყოფილი ტექსტის დასწავლას მათივე მეტაკოგნიტური უნარების შესაბამისად.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 30

გაკვეთილზე მოსწავლეთა ზეპირი კომუნიკაციის შესაფასებლად მასწავლებელი ქვემოთ წარმოდგენილ სქემას იყენებს:

დადებითი მაჩვენებლები	ყოველთვის	ხანდახან	იშვიათად	არასდროს
1. მსჯელობს გარკვევით და ამომწურავად; მოჰყავს არგუმენტები.				
2. საუბრობს ნელა და გარკვევით. წინადადებებს ლოგიკურად უკავშირებს ერთმანეთს.				
3. მონაწილეობს კლასგარეშე აქტივობებში.				
უარყოფითი მაჩვენებლები				
1. ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას და მხატვრულ ხერხებს.				
2. არ მონაწილეობს დისკუსიებში. უყურადღებოა.				

შეფასების სქემის მიმართ არსებული მოთხოვნებიდან რომელი არ დაიცვა მასწავლებელმა მოცემული სქემის შედგენის დროს?

- ა) სანდოობა
- ბ) ვალიდობა
- გ) ობიექტურობა
- დ) გამჭვირვალობა

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 31

კლასში არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე, რომელსაც მასწავლებელი დიდ დროს უთმობს, ამის გამო სხვა მოსწავლეების მშობლები უკმაყოფილოები არიან და პრეტენზიებს გამოთქვამენ.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი გადაწყვეტილება იქნება ყველაზე ეფექტიანი მშობლებთან ურთიერთობის დარეგულირებისათვის?

- ა) მასწავლებელმა სსსმ მოსწავლე მაქსიმალურად მოარიდოს კლასს და მასთან ურთიერთობა მთლიანად დამხმარე პედაგოგს მიანდოს.
- ბ) მასწავლებელმა მშობლების პრეტენზიას არ მიაქციოს ყურადღება და საკუთარი გეგმის მიხედვით განაგრძოს მუშაობა.
- გ) მასწავლებელი შეხვდეს მშობლებს და დეტალურად აუხსნას სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული ყველა საკითხი.
- დ) მასწავლებელმა დირექციას სთხოვოს დახმარება, რათა თავიდან აიცილოს მშობლების საყვედურები.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 32

მოსწავლეთა შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად ხშირ შემთხვევაში მედიაციის გზას მიმართავენ. მედიატორი შესაძლოა იყოს მოსწავლე, რომელიც მისაღებია ორივე მხარისათვის და ფლობს მოლაპარაკების ტექნიკებს.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება/ქმედებებია მართებული მედიაციის გზით კონფლიქტის მოგვარების დროს?

- I. მედიატორი ესწრება კონფლიქტის მონაწილე მხარეების ყველა მოლაპარაკებას.
- II. მედიატორი ამოწმებს, როგორ სრულდება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება.
- III. შეთანხმების დამრღვევ მხარეს მედიატორი ურჩევს, გადახედოს საკუთარ პოზიციას და წავიდეს დათმობაზე.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და II
 - გ) მხოლოდ II და III
 - დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 33

გამოკითხვის დაწყების წინ მოსწავლეებმა მასწავლებელს უთხრეს, რომ გაკვეთილისთვის მზად არ იყვნენ, მასალის დასწავლაც გაუჭირდათ და სავარჯიშოების შესრულებაც. მათ მასწავლებელს მასალის ხელახლა ახსნა სთხოვეს.

მასწავლებელმა მასალის ხელმეორედ განხილვამდე მოსწავლეებს რამდენიმე კითხვა დაუსვა:

- როგორ ფიქრობთ, რატომ არის ამ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანი, რას შეგძენთ ის თქვენ?
- ვის რისი გაგება და ათვისება გაუჭირდა, რასთან იყო დაკავშირებული სირთულეები?
- რა დაგეხმარებათ ამ საკითხის უკეთ შესწავლაში, საიდან შეიძლება მოიპოვოთ რესურსი?

ამის შემდეგ მასწავლებელმა თავიდან ახსნა მასალა, თან აკონტროლებდა, როგორ მიდიოდა დასწავლის პროცესი.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

პერკინსის თეორიის მიხედვით, ეფექტიანი სწავლების მიზნით მასწავლებლის მიერ გამოყენებული სტრატეგია:

- ა) მართებულია, მასწავლებელი სასწავლო მიზნებს უფრო ადვილად მიაღწევს მაშინ, როცა მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე, რასაც სწავლობენ.
- ბ) არ არის მართებული, მოსწავლეების უყურადღებობით გამოწვეული პრობლემები მასწავლებელმა უნდა გამოასწოროს სტრატეგიით - ვიცი/მინდა ვიცოდე/გავიგე.
- გ) მართებულია, მასწავლებელი ამ კითხვებით დაადგენს, მოსწავლეებისთვის მასალა ნამდვილად გაუგებარი იყო, თუ მათ გამოკითხვის თავიდან აცილება უნდოდათ.
- დ) არ არის მართებული, მოსწავლეებს მასალის ხელახლა ახსნამდე ისევ გაუჭირდებათ აღნიშნული კითხვებზე პასუხის გაცემა და დაეკარგებათ მოტივაცია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 34

ჩამოთვლილთაგან რომელია განმავითარებელი შეფასების ძირითადი უპირატესობა, რომელიც ეხმარება მოსწავლეს აკადემიური წარმატების მიღწევაში?

- ა) განმავითარებელი შეფასება დეტალურია, აქცენტები კეთდება იმისათვის, რომ მოსწავლემ შედეგი გააუმჯობესოს.
- ბ) განმავითარებელი შეფასება აუცილებლად გულისხმობს შექებას, რითაც ხელს უწყობს შინაგანი მოტივაციის ზრდას.
- გ) განმავითარებელი შეფასება წერილობითია, რომელსაც მშობლები ეცნობიან და, შესაბამისად, ეხმარებიან შვილებს.
- დ) განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვროს მოსწავლის მიღწევის დონე.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 35

ქცევის წესი/წესები ყველაზე შედეგიანია მაშინ, როდესაც:

- I. წესების ჩამონათვალში მასწავლებელს და მოსწავლეებს შეაქვთ მხოლოდ პრობლემური ქცევები, რომელთა აკრძალვასაც გეგმავენ წლის განმავლობაში.
- II. წესები მოსწავლეების მონაწილეობით არის შერჩეული და ემსახურება მათი როგორც სასწავლო, ასევე სოციალური ხასიათის მიზნების მიღწევას.
- III. წესების რაოდენობა მცირეა და მოსწავლეებს არ უჭირთ მათი დამახსოვრება, მასწავლებელს კი მათი რეალიზება.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და II
 - გ) მხოლოდ II და III
 - დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 36

მოსწავლეებში ადეკვატური „მე“ - კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი სტრატეგია იქნება ყველაზე ეფექტიანი?

- ა) გამოიყენოს წახალისება ხშირად, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ამის საფუძველი.
- ბ) მოსწავლეს წარუმატებლობა იმედით შეუმსუბუქოს და მოძებნოს რეალური მიზეზი შექცებისთვის.
- გ) თავი შეიკავოს ყოველგვარი შეფასებისგან, რომ მოსწავლემ საკუთარი მიღწევები დამოუკიდებლად შეაფასოს.
- დ) დაანახვოს მოსწავლეს საკუთარი ძლიერი მხარე, რომელიც მას თანაკლასელებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 37

კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმის - დიალოგის წარმართვის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს:

- ა) დიალოგის დროს არსებითია სიტუაციის ობიექტური შეფასება და არა - საკუთარი პოზიციის დაჟინებით დაცვა.
- ბ) შეცდომებისა და მცდარი მოსაზრებების შესწორებით ის ხელს უწყობს მოსწავლეებს სწავლასა და განვითარებაში.
- გ) არ არის აუცილებელი დიალოგის შედეგად კონსენსუსის მიღწევა, მთავარია, საკუთარი პოზიციის თამამად დაფიქსირება.
- დ) მოსწავლეებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მათ პოზიციას მხარი დაუჭიროს, ვიდრე უთანაგრძნოს არასწორი მოსაზრების გამო.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 38

ბიოლოგიის მასწავლებელმა ბუნებრივი გადარჩევის შედეგების ახსნის დროს „გონებრივი რუკები“ გამოიყენა.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის მიერ არჩეული სტრატეგიის უპირატესობა/უპირატესობები?

- I. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებს ბუნებრივ გადარჩევასთან დაკავშირებული ინფორმაციის ორგანიზებასა და უკეთ გაგებაში.
- II. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ბუნებრივი გადარჩევის ახსნა ნაკლებ დროს მოითხოვს და მოსწავლეებს მეტი დრო რჩებათ სხვა აქტივობებისათვის.
- III. გამოყენებული მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს ბუნებრივი გადარჩევის შესახებ მთლიანი წარმოდგენის შექმნასა და უკეთ გააზრებაში.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 39

ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საშინაო დავალების ეფექტიანად გამოყენების პრინციპებს?

- ა) საშინაო დავალება უფრო საინტერესო იქნება, თუ კლასში ნასწავლ მასალას ყოველდღიურ ცხოვრებასთან დავაკავშირებთ. მოსწავლეებისთვის სასარგებლოც არის და სასიამოვნოც, თუ ისინი მოიძიებენ კლასში ასხნილ თემასთან დაკავშირებულ მასალას.
- ბ) საშინაო დავალება არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც სასჯელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეები უარყოფითად განეწყობიან საშინაო დავალების მიმართ და არ აღიქვამენ მას ცოდნის მიღების საშუალებად.
- გ) თუ მოსწავლე არ შეასრულებს საშინაო დავალებას, ამას ყოველ ჯერზე არ უნდა მოჰყვეს მასწავლებლის მხრიდან რეაგირება. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ უფლება აქვს, ზოგჯერ არ შეასრულოს დავალება.
- დ) მნიშვნელოვანია, საშინაო დავალება შემოწმდეს რაც შეიძლება სწრაფად და ზედმიწევნით. როცა მასწავლებელი დროულად ან საერთოდ არ ამოწმებს საშინაო დავალებას, მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მისი შესრულება არ არის აუცილებელი.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 40

კეთილგანწყობილ სასწავლო გარემოს მნიშვნელოვნად განაპირობებს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა.

რა უარყოფით შედეგს/შედეგებს გამოიწვევს მასწავლებლის ზედმეტი სიმკაცრე, ხშირი შენიშვნები და მოსწავლეებით მუდმივად უკმაყოფილება?

- I. მოსწავლეები ერთმანეთს მწვავე კონკურენციას გაუწევენ.
- II. მოსწავლეები თავს შეიკავებენ საკუთარი აზრის გამოთქმისგან.
- III. კლასში გაჩნდება ქცევითი ხასიათის პრობლემები.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 41

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები დაეხმარება მასწავლებელს ეფექტიანი წერილობითი უკუკავშირის ჩამოყალიბებაში?

- I. შეადგინეთ კრიტერიუმები, გააცანით მოსწავლეებს ან მათთან შეათანხმეთ ისინი. აუხსენით თითოეული კრიტერიუმის არსი.
- II. შემოწმებისას ხაზი გაუსვით პუნქტებს, რომლებიც უშეცდომოდაა შესრულებული და შეაქეთ მოსწავლე ამისათვის.
- III. შეაფასეთ ნაშრომი სქემის მიხედვით, შეცდომების გათვალისწინებით დაწერეთ შესაბამისი ქულა.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

დავალებებს 42.1, 42.2 და 42.3 უპასუხეთ მოცემული ტექსტის მიხედვით:

42.1 - დავალება არჩევითპასუხიანია და 1 ქულით ფასდება.

42.2 და 42.3 - დავალებები ღიადაბოლოებიანია. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა (ტექსტი) და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა - 3.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალეა 42

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მოსწავლეების მიღწევები კავშირშია მასწავლებლების მაღალ მოლოდინებთან და მათ სიცხადესთან (Brophy 1985, 1987; Brophy & Good, 1986). დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეს ყველაზე მეტად აზარალებს ის პედაგოგი, რომელსაც მოსწავლის სწავლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით სტერეოტიპები ჩამოუყალიბდა, მაგალითად, მიიჩნევს, რომ სასკოლო მათემატიკის ან საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა ყველასათვის მისაწვდომი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგების ძირითადი გზავნილი ყველა მოსწავლის, განსაკუთრებით კი დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეების მიმართ იყოს – „სწავლა ყველას შეუძლია“. მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამები ამ რწმენას მომავალ მასწავლებლებშიც უნდა აყალიბებდეს. (National Council for Accreditation of Teacher Education, 2008; გვ. 90).

მასწავლებლის სტერეოტიპული შეხედულებები, რომლებიც სწავლასთანაა დაკავშირებული, აყალიბებს დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეთა მიმართ „ნეგატიურ“ მოლოდინებს, რაც, ცხადია, აისახება მოსწავლის მოტივაციასა და მიღწევებზე.

კვლევები აჩვენებს, რომ ისეთი მოსწავლეებიც კი, რომელთაც დაბალი აკადემიური მიღწევები და სწავლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით სტერეოტიპული შეხედულებები აქვთ (მაგალითად, სწავლის უნარი ფიქსირებულია, ყველას არ შეუძლია სწავლა), ახერხებენ დავალების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას მაშინ, როდესაც სოციალური შედარების ნაცვლად მათ უსახვევენ განვითარების მიზნებს (Butler, 2006, T. Thompson & Musket, 2005). დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეების მოტივაციისათვის

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დამანგრეველია შეჯიბრის საკლასო ატმოსფეროს შექმნა, როდესაც მოსწავლეებს წაახალისებენ, რათა საუკეთესო შედეგები აჩვენონ ანდა საკუთარი მიღწევები სხვებისას შეადარონ (Ames, 1984; Nicholls, 1989). ატრიბუციული უკუკავშირის მიწოდებამ (მაგალითად, „შენმა ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო“) შეიძლება განსაკუთრებული დახმარება გაუწიოს შედარებით დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეებს. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს უკუკავშირს პოტენციურად პოზიტიური ეფექტი აქვს, იგი სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული, რომ, პირიქით, დემოტივაციის საფუძველი ან დამთრგუნველი არ აღმოჩნდეს მოსწავლისათვის (Schunk, 2003).

არსებობს უკუკავშირის მიწოდების მეტად თუ ნაკლებად ეფექტიანი ფორმები. დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეები დიდ იმპულსს იღებენ, როდესაც უკუკავშირი მოიცავს დახმარების შეთავაზებას ან კითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა დაეხმარება მათ, გააუმჯობესონ საკუთარი შედეგი (Rakoczy et al., 2008, გვ. 119). ნეგატიური და პოზიტიური უკუკავშირის ეფექტიანობა მსჯელობის საგანია. სხვადასხვა შემთხვევაში ეფექტი განსხვავებული შეიძლება იყოს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მაღალი აკადემიური მიღწევის მოსწავლეების შემთხვევაში. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაუყოვნებლივი, მკაფიო განმავითარებელი უკუკავშირი, ხოლო დაგვიანებული უკუკავშირი კი შესაძლოა უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის (უკუკავშირის მიწოდება მას შემდეგ, რაც თავად სცადეს ამოხსნის გზის მოძებნა).

(„სახელმწიფო შეფასება, საბუნებისმეტყველო საგნები) მე-9 კლასი“, ანგარიში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2016)

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
- [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 42.1

ტექსტში აღწერილი კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- ა) უკუკავშირის მიწოდება უფრო მნიშვნელოვანია დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეებისათვის, ვიდრე მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის.
- ბ) დაუყოვნებელი უკუკავშირი მარცხს აარიდებს მოსწავლეს, ამდენად, ის უფრო სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის.
- გ) რაც უფრო დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები, მით უფრო დიდ ეფექტს იძლევა კლასში შეჯიბრის ატმოსფეროს შექმნა.
- დ) მოსწავლის აკადემიური მიღწევების მიუხედავად, მისი მოტივაცია იმატებს ან იკლებს მასწავლებლის სტერეოტიპული შეხედულებების გავლენით.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 42.2

მაქსიმალური ქულა - 3

- მოიყვანეთ მოსწავლის დახმარებაზე ორიენტირებული უკუკავშირის კონკრეტული მაგალითი. ვიგოტსკის თეორიაზე დაყრდნობით ახსენით, როგორ შეუწყობს ის ხელს მოსწავლის განვითარებას? *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

დავალება 42.3

მაქსიმალური ქულა - 3

- ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლის მიმართ მასწავლებლის მაღალი მოლოდინი, როგორ უწყობს ის ხელს მოსწავლის განვითარებას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

ინსტრუქცია

ღიადაბოლოებიანი დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

„ინფორმაცია კრიტიკული აზროვნების ათვისების სათავეა და არა საბოლოო წერტილი. ცოდნა აღძრავს მოტივაციას, რომლის გარეშე კრიტიკულად აზროვნება შეუძლებელია. როგორც იტყვიან, „ცარიელი თავით ძალიან ძნელია იფიქრო“ ... ერთი ფასეული აზრის ჩამოყალიბებაც კი ფაქტების, იდეების, ტექსტების, თეორიების, მონაცემების, კონცეფციების - „ნედლეულის“ მთების გადამამუშავებას მოითხოვს“.

დევიდ ქლუსტერი „რა არის კრიტიკული აზროვნება“

წიგნიერი - 2002-2004 წლებში გამოქვეყნებული სტატიების ანთოლოგია.

- დაასახელეთ თეორია, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს ფაქტობრივი მასალის ცოდნის აუცილებლობას ეფექტიანი სწავლებისათვის.
- თქვენ მიერ დასახელებული თეორიის საფუძველზე განმარტეთ, რა მნიშვნელობა აქვს ცოდნის დაგროვებას კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [11a](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [21a](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#)
[28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [33a](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [42a](#) [42.1](#) [42.2](#) [42.3](#) [43](#) [44](#)

კონფლიქტი სკოლის ცხოვრებაში სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, ის ხშირად მოსწავლეებს შორის, ანდა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის პრობლემების საფუძველზე ჩნდება. უახლოეს წარსულში კონფლიქტი სკოლაში ცალსახად უარყოფით მოვლენად ფასდებოდა და სკოლის დირექციის ან პედაგოგის სისუსტის მაჩვენებლად ითვლებოდა. დღეისათვის არავინ დაობს იმის თაობაზე, რომ სწორ კალაპოტში მიმდინარე კონფლიქტი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. პროცესის სწორად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგი კარგად ფლობდეს კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიებს და ადეკვატურად იყენებდეს მათ კონფლიქტურ სიტუაციებში.

- აღწერეთ კონფლიქტის მოგვარების ერთი სტრატეგია და მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.
- განმარტეთ, როგორ შეუწყობს ხელს კონფლიქტის მოგვარების თქვენ მიერ დასახელებული სტრატეგია მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 11a 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23 24 25 26 27
28 29 30 31 32 33 33a 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44